სახალხო გაზეთი

№ 253 შაბათი, 12 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 253

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საუცლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ქ. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირუის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. № 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Гавети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"-ს

ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელის ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

მარიამ ანდრიას ასული პაპატაშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჭიჭინაძე, ნინო, გიორგი, ილარიონი, დავით და ვახილ ივანეს ასული და ძენი, ოლღა სპირიდონის ასული და ნატალია ისაკის ასული პაპატაშვილები, ნინო და ნიკოლოზ ჭიჭინაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 მარტს, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ანნა ივანეს ასულის პაპატაშვილი-ჭიჭინამისას.

წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი 12-ზე, (2—507—1)

კვირას, 13 მარტს, წმ. ნინოს ეკლესიაში კუკიის სასაფლაოზე, გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ იოსების ასულის ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ განსვენებულის შვილები და სიძე ნაცნობებს და ნათესავებს. წირვა დაიწყება 10 ს. ხოლო პანაშვიდი 12 საათზედ. (1—505—1)

კვირას, 13 მარტს, გადახდილი იქნება ქ. გორში ღვთის-მშობლის მიძინების ეკლესიაში ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ნიკოლოზ გრიგორის ძის პაპიტოვის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს მეუღლე **ანნა ბესარიონის ასული პაპიტოვის** შვილით და შვილიშვილებით. (1—506—1)

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე და მეუღლე მისი ხიდონია ალექსის ასული რუხიშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას თავიანთ საყვარელ შვილის

ოლღა ალექსანდრეს ასულის რუხიშვილის.

პანაშვიდი დანიშნულია საღამოს 7 საათზე (თხინვალის ქ. № 10) მიცვალებულს გამოასვენებენ ბინიდან ხვალ 13 მარტს, დილის 10 ს. სამების ეკლესიაში, ხოლო იქიდან დასაკრძალავად წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, საპ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოვებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ბ. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—415)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა

წინამძღოლი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს იწვევს თავად-აზნაურთა საგანგებო საგუბერნიო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 13 მარტს, ამ წლისა, შუადღის 12 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

კრების საგანია:

ა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების მიერ თავად-აზნაურთა თეატრის იჯარით აღება და

ბ) ძველად ყოფილ საზოგადოებრივ მზრუნველობის გამგეობაში დაგირავებულ მამულთა საკითხი. (3—1138—2)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

გნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლაბდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყაუხჩიშვილი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—64)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

ექიმი რ. დ. მამაგარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—180—103

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—231

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი.

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. კირალოვის სახლი, (50—15—39

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—91

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. (ზო—1090—11)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—11)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხაზვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასსერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—19)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—58)

ტფილისი, 12 მარტი

სტოლიპინის დასავლეთ გუბერნიეთ დამარცხება. ვგში ერობათა შემოღების კანონ-პროექტი ერთი რგოლთაგანი იყო სტოლიპინის ნაციონალისტური პოლიტიკისა. ფინლანდიის კანონ-პროექტის შემდეგ ეს კანონ-პროექტი მაინცა და მაინც დიდ-მნიშვნელოვანად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ნაკლები საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი მაინც საინტერესოა, როგორც სტოლიპინის სულის კვეთებათა გამომსახველი. ამ კანონ-პროექტით, როგორც არა ერთხელ გვქონია აღნიშნული ჩვენს გაზეთში, სტოლიპინს უნდოდა დასავლეთ გუბერნიებში პოლონურს გავლენისათვის წინ დაეყენებინა რუსი ელემენტები. ამისთვის მან საჭიროდ დაინახა კურიალური სისტემა არჩევნებისა, რუს-მცხოვრებთა გამოყოფა ცალკე კურიებად.

ხმები დადიოდა, სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთი წევრნი სტოლიპინის პროექტის წინააღმდეგნი არიანო. მართლაც, სტოლიპინის პროექტის ის ნაწილი, რომელიც კურიალურ არჩევნებს შეეხება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოდ სტოლიპინის პოლიტიკის უარჰყოფას არა ნიშნავს. საბჭომ შესწორება შეიტანა კანონპროექტში და სავალდებულოდ გახადა რუს ამომრჩეველთა რიცხვის ფიქსაცია, მათი რიცხვის განსაზღვრა. მართალია არსებითად ეს სტოლიპინის ნაციონალისტურ პოლიტიკის უარყოფას არა ნიშნავს, და საბჭოს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებას, ვერც შეუძლიან საზოგადოდ ნაციონალისტური პოლიტიკა უარჰყოს, მაგრამ სტოლიპინი მაინც დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს.

რა საბუთებით ხელმძღვანელობდა საბჭო და განსაკუთრებით კი გრ. ვიტტე, რომელსაც პირველობა ეკუთვნის ამ პროექტის დამარცხებაში, ამის ნათლად წარმოდგენა შეუძლებელია. თუ „ნოვოე ვრემია"-ს დავუჯერებთ ეს მხოლოდ საბჭოს ინტრიგანების ბრალია, იმ ინტრიგანებისა, რომელთაც სურდათ სტოლიპინი ძირს ჩამოეგდოთ. ადვილად შესაძლებელია ეს ასე იყოს, მაგრამ რადგანაც ამ ფაქტს ზედვე მოჰყვა ხმები სტოლიპინის სამსახურიდან გადადგომისა, უნდა ვიფიქროთ, რომ უთანხმოების მიზეზი უფრო ღრმად უნდა არსებობდეს. სად არის უთანხმოების სათავე, ამის გაგება შეუძლებელია. გარეგნულად სტოლიპინის გადადგომა კონსტიტუციონურს ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს; იგი, თუ ხმები გამართლდა, სამსახურს თავს ანებებს იმ დროს, როდესაც საკანონმდებლო დაწესებულება მის კანონპროექტს არ ამტკიცებს. ეს მართლაც პირველი მაგალითია რუსეთის ახალს, საკონსტიტუციო ცხოვრებაში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სტოლიპინს ჰქონდა კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა, უფრო ღრმა მიზეზებიც, მაგრამ მან მაინც სამსახურს თავი არ დაანება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საბჭოს მოქმედება, რომელიც არსებითად არა სცვლიდა სტოლიპინის ნაციონალისტურს მოქმედებას, მას სამსახურიდან გადადგომას ვერ გამოიწვევდა, სხვა რამ უფრო ღრმა მიზეზები რომ არ არსებობდეს.

ამას კი მომავალი გვიჩვენებს.

ხვალინდამატების შინაარსი: ჩვენება და სიყვარული, დრამ. ოპერა 3 ნაწილად ბხოსპირელისა. სურათები ა) ქუთაის. დრამ. საზოგადოების მსახიობნი. ბ) შავი ჭირი შორეულ აღმოსავლეთში, ბ) კარიკატურა.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ როგორც პეტერბურგიდან დეპეშით იუწყებიან თ-დ თუმანოვსა და ინჟინერ ტაგიასოვს ნება მიეცათ შემახა-სიღნაღის შუა 350 ვერსის მანძილზე სარკინისგზო ადგილები გამოარკვიონ.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ **ქოქჩაევმა** გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვს საჩქაროდ ჩამოვიდეს ტფილისში და თანამდებობის ასრულებას შეუდგეს. ამ დეპეშის გაგზავნა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ჟურული კვლავ განაგრძობს ბათუმის ქალაქის თავის მოადგილის მოვალეობის ასრულებას. ხმოსანთა ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს ამის გამო შეკითხვა შეიტანოს საბჭოში.

✦ **სახ. უნივერსიტეტის** საზოგადოების წევრთა საერთო კრება დანიშნულია ხვალ, 13 მარტს, სახალხო სახლში. კრება განიხილავს საკითხს სკოლის საქმის მოწყობის თაობაზე და აირჩევს გამგეობის წევრთ.

✦ **თბილ. გუბერნატორი ლოზინა-ლოზინსკი**, თანახმად თხოვნისა, ექვსის კვირით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან („კ.").

✦ **მუხრანის ხიდი.** მუხრანის ხიდზე 1 აპრილს გაიხსნება მიმოსვლა. ქალაქის გამგეობამ მუხრანის ქუჩის შესაკეთებლად გადასდო 775 მან.

✦ **ხმოსნების თათბირი.** დღეს, 12 მარტს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდება ხმოსანთა კერძო თათბირი იმის თაობაზე, საკრებულოს დადგენილება ქალაქის საარჩევნო უბნებად დაყოფისა განასაჩივრონ თუ არა სენატში.

✦ **ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე.** ოთხშაბათს, 9 მარტს კურსების საბჭოს წევრებისა და მსმენელების თანადასწრებით გამოსაცდელი ლექცია წაიკითხა ს. კაკაბაძემ, რომელმაც სურვილი განაცხადა მომავალ სამოსწავლო წლიდან ლექციები იკითხოს საქართველოს ისტორიაზე. 16 მარტს ლექციას წაიკითხავს მეორე კანდიდატი ა. გ. თუმანოვი შემდეგს თემაზე: „პირველი გაბატონება ისლამისა კავკასიაში".

✦ **ციხეების გადაკეთება.** სახელმწიფო სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვის კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი კავკასიის ციხეების გადაკეთებისა.

✦ **შუამდგომლობა.** ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ბაქოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა 10,000 მან. გადასდონ ერთდროული დახმარებისთვის კურსების სასარგებლოდ.

✦ **თავის მოწამვლა.** 10 მარტს ელისაბედის ქ., სახ. № 99, იაკობ ზაქარიანცმა თავის მოკვლის განზრახვით დალია ნიშადური და თავი მოიწამლა. იქვე იპოვეს შემდეგი შინაარსის წერილი: „უკანასკნელ სალამს ვუძღვნი ყველას. გთხოვთ ბრალი არავის დასდოთ"... მიწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მორჩენა საეჭვოა.

✦ **სასამართლო.** ტფილისის საოლქო სასამართლომ, 10 მარტს, გაარჩია ქ. ოზურგეთის მცხოვრებ ვ. ა. კალატოზოვის, ქ. ჭუბაბრიას და გ. შემმარიაშვილის საქმე. მათ ბრალდებოდათ ყალბ ათ თუმნიანების დამზადება და გასაღება. სასამართლომ სამივე დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: კალატოზოვსა და ჭუბაბრიას ღირს-

ბა-უფლების ჩამორთმევა და გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 5 წლით, მეძმარიაშვილს—3 ნახევარ წლით.

◆ დღეს, 12 მარტს „კავკასიის **საექიმო საზოგადოების**“ დარბაზში (გიორგის ქუჩა, № 4 ალექსანდრეს ბაღში) გაიმართება **საბავშვო კითხვა**, რუსულად წაიკითხავს ქ-ნი გურგენიძე 4—5 საათამდე—„აკბაზათს“

კვირას, 13 მარტს, იმავე დარბაზში **ბ-ნი ალმაზი ხომხურად** წაიკითხავს (დილ. 9½ ს. 11 საათ.) თავის თხზულებას „მეცხვარე გაგო და ხმელი პური“.

ქ-ნი ლომჯარიაშვილი—ქართულს ენაზე წაიკითხავს (11—12 სათ.) „იაშა“ მხოლოდ მოზრდილთათვის, ბავშვებსა სთხოვენ ნუ მოვლენ.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე ქართულად წაიკითხავს (სად. 5—6 საათ.) ლექციას **თთაშანგზე**.

კითხვას და ლექციას ბუნდოვანი სურათებიც მოჰყვება. შესვლა უფასოა.

◆ **გაფლანგვა**. „ზინგერის კომპან.“ რწმუნებულმა ი. ლევინმა პოლიციას განუცხადა, კომპანიის აგენტმა აზ. სილ. **მგელაძემ** მოვალეებიდან მოკრებილი ფული გაფლანგა და მიიმალაო. პოლიციამ მგელაძე შეიპყრო.

◆ **დახმარება**· ნამესტნიკის საბჭომ დაადგინა ერთდროული დახმარების სახით 2,000 მან. გადასდოს სამეურნეო საზოგადოებისათვის სტატისტიკურ საქმის მოსაწესრიგებლად.

◆ **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება**. კვირას, 13 მარტს დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება. კრება მოისმენს მოხსენებებს: ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის მიერ თეატრის იჯარით აღებისას და სხვა წვრილმან კითხვებს.

◆ კვირას, 13 მარტს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში დანიშნულია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც არჩეული უნდა იქნას გამგეობა.

აღნიშნულ კრებისათვის ქართულმა სახალხო, უნივერსიტეტის, სასკოლო სექციამ კანდიდატებად დაასახელა შემდეგი პირნი:

1. ვასილი ი. რცხილაძე. 2. ბაგრატ მიკირტუმოვი, 3. პეტრე გელეიშვილი, 4. სერგო ჯაფარიძე, 5. მიხეილ ქარცივაძე, 6. იაკობ ცინცაძე, 7. სერგეი კაკაბაძე, 8. კალისტრატე გოგუა, 9. ანდრია ბებურიშვილი, 10 ალექსანდრე სვანიძე. 11. სნარსკი, 12. არშაკ მარკაროვი, 13 პოპლავსკი, 14. გიორგი ნათაძე, 15 ივანე რაქვიაშვილი, 16 მალაქია ნატბელაძე, 17 მარტიროზოვი, 18. ივანე ძიძიშვილი, 19. ტიგრან გევონდიანცი, 20 გრუდინინი, 21. სურენ სპანდარიანი, 22. სარქისოვი და 23 ჰანელიძე.

◆ **ჟურნალ „სალამური“ს რედაქცია** გვთხოვს გამოვაცხადოთ: ხვალ, კვირას ჟურნალის მორიგი ნომერი ვეღარ გამოდის მოულოდნელ მიზეზების გამო („ნაბორის“ დაბნევა). რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე.

◆ 10 მარტს **ჩხრეკის დროს პოლიციის სხვა და სხვა ნაწილებში 63 უპასპორტო შეიპყრეს**.

—

შეცდომების გასწორება. „სახ. გაზეთის“ 251 №-ში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: შალვა ტატიშვილის წერილში („ტფ. ქარ. ფილარ. საზოგად. გამოცემათა გამო“) მე 4-ე გვერდის მე-2 ე სვეტზე სწერია: ...ეს იმას არა ნიშნავს რომ „ფალიაშვილს არაფერი გაუკეთებია“ (старый матеріалъ). ხელოვნურად დამუშავება... უნდა იყოს: ეს იმას არა ნიშნავს, რომ „ფალიაშვილს არაფერი გაუკეთებია. დაუმუშავებელ მასალის (сырой матеріалъ) დამუშავება.,. და სხვა.

ქუთაისი

◆ 8 მარტს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ადიუტანტი **რუდენკო** ბათუმს გაემგზავრა.

◆ 8 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე **თოვლი მოვიდა**.

◆ ესიკოვის ცირკი, რომელიც ქუთაისში გასტროლიორობდა და გორში წავიდა მთლად **დამწვარა**. ცეცხლს უმსხვერპლია მთელი ქონება და ერთი მსახური. მხოლოდ 2 ცხენის გადარჩენა მოუხერხებიათ.

◆ 8 მარტს ბოროტ-გამზრახველთ ალექსანდრე გაბუნიას ბაკალიურ საწყობის კედელი შეუნგრევიათ და ვერცხლის საათი თავის ძეწკვით და ერთი თუმანი ფულად გაუტაცნიათ, ეჭვით შეუპყრიათ გიორგი გიორგიძე და თეოფილე შავგულიძე.

◆ 3 მარტს, სამს საათზე ქუთაისის საპყრობილეში კატორღელი ტუსაღები ალექსანდრე ფრიდონიძე და გიორგი მდინარიძე გამოლაპარაკებიან მეორე კამერის ტუსაღებს. დარაჯს ლაპარაკი აუკრძალნია, მაგრამ ტუსაღებს არ გაუგონიათ. **დარაჯს თოფი გაუსვრია** არავინ დაჭრილა. ტუსაღები დაუსჯიათ.

◆ გუბერნატორს ნება დაურთვია გ. მოგნარაძისთვის ახალ-სენაკში **ლექცია საკითხზე**: „**ტოლსტოის** შეხედულობა აღზრდაზე.“ წმინდა შემოსავალი დაზარალებულ ჰალადიდელების სასარგებლოდ გადაიდება.

◆ ქართულად გადაითარგმნა და ახლო მომავალში **წიგნად გამოვა დოსტოევსკის რომანი** „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი.“

◆ ახალ სენაკში დაარსდა **წვრილ კრედიტის საზოგადოება**, წევრად ორასი კაცი ჩაწერილა. საზოგადოებას უკვე 2,500 მანეთი აქვს.

◆ ბაღდადის ბოქაულმა 2 მარტს სად. სვირზე ციმბირიდან გამოქცეული **გენტორ ქვარიანი დაატუსაღა**. ქუთაისის მაზრის უფროსმა ქვარიანი ქუთაისის სატუსაღოში დაამწყვდია. ქვარიანმა 1904 და 1905 წლებში ბევრი დანაშაულობა ჩაიდინა. სხვათა შორის მან 21 მარტს 1905 წ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი 1849 მ. 76 კ. გაცარცვა. სასამართლომ ქვარიანს 1905 წ. 31 მარტს 10 წლით კატორღა მიუსაჯა.

◆ 5 მარტს, დილის პირველ საათზე ხონის მომრიგებელ მოსამართლის მოხელეს **ხონის ციხეში ტუსაღი ნიკოლოზ ბახტაძე** მიჰყავდა. გზაზე მსახურს ტუსაღი გაექცა და მიიმალა, მაგრამ მალე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

◆ 25 მარტიდან ქუთაისში გამოვა ახალი ყოველ-დღიური ქართული გაზეთი.

მეთვალყურის შენიშვნები

5

პორტუგალიის გაფიცვები.

სულ ექვსი თვე არ იქნება მას შემდეგ, რაც პატარა პორტუგალიაში რესპუბლიკანურმა პარტიამ თავისი მოხერხებული მოქმედებით მთელი ევროპა გააკვირვა: ბოლო მოუღო ძველს რეჟიმს და დროებითი მთავრობის სახით შეუდგა რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის მოწყობას. ძველი რეჟიმის მომხრენი ახალს წეს-წყობილებას, რასაკვირველია, ვერ ურიგდებიან. მაგრამ, რაკი საკმაო ძალა არა აქვთ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ აგიტაციას ეწევიან ძველი რეჟიმის აღდგენის სასარგებლოდ და თავიანთ მიზნის განსახორციელებლად დღიდან ბრაგანცის დინასტიის განდევნისა პორტუგალიიდან ათასგვარ სენსაციონურ ჭორებს ავრცელებენ. ასე, მაგალითად, გავრცელდა ხმა, რომ პორტუგალიის საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა ძველი რეჟიმის და განდევნილ კაროლის სასარგებლოდ, რომ დროებითი მართველობა უძლური აღმოჩნდა წინაშე იმ დაბრკოლებებისა, რომელიც მათ წინაშე აღმართა პორტუგალიის ფინანსიურ და პოლიტიკურმა მდგომარეობამ და სხვა. საზოგადოებრივ აზრის შეცვლა მოჭორილი ამბავია. დაბრკოლება კი ახალს მთავრობას მართლა ბევრნაირი გამოუჩნდა. ამ დაბრკოლებათა ძლევა არც ისეთი ადვილი იყო, როგორც ერთის შეხედვით გვეჩვენება. ახალს, დროებით მთავრობას. წილად ჰხვდა მოშლილ ორგანიზმის განკურნება, მოწესრიგება აწეწილ-დაწეწილ ცხოვრებისა. ჩვენის ფიქრით ახალ მთავრობას მხოლოდ ერთი საყვედური შეიძლება ეთქვას, სახელდობრ, რომ ხალხის წარმომადგენლები თავის დროზედ არ მოიწვია. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც თავის გასამართლებელი საბუთი აქვს. რევოლუციის პირველ ხანებში შეუძლებელი იქნებოდა წარმომადგენელთა დამშვიდებული კანონმდებლობითი მუშაობა. საჭირო იყო მოსპობა ძველი ნაშთებისა. ამისათვის დროებითი მთავრობამ იერიში მიიტანა იეზუიტურ ორგანიზაციაზე, რომელიც განსაკუთრებით ეურჩებოდა ახალ წეს-წყობილების დამკვიდრებას. დროებითი მთავრობამ ხელი მიჰყო რევოლუციის დროს განდევნილ იეზუიტების, რელიგიოზურ ორდენების, და საეკლესიო ქონებათა მოწესრიგებას; განძრახულია ეს აუარებელი ქონება მთელი ერის საკუთრებად გამოცხადდეს. თუმცა დროებით მთავრობის ეს განძრახვა საპატიო იყო, მაგრამ მაინც მას არ უნდა დაევიწყა, რომ იმ ხალხს, რომელმაც მოახდინა რევოლიუცია, ამოძრავებდა უმთავრესად მისი აუტანელი ეკონომიური პირობები, და ამასადამე, მას დიდ-ხანს ცდა ვერ შეეძლო. მოუთმენლობის ნიშნები მალე გამოჩნდა, და დაიწყო გაფიცვები. ერთხანად მთავრობამ კიდევაც განიძრახა გაფიცვების აკრძალვა და ამით ძველი რეჟიმის წაბაძვა, მაგრამ გონივრობამ აჯობა, და ეს აზრი უკუგდებულ იქნა; დროებითი მთავრობა ამ შემთხვევაში არც მოსტყუვდა, მუშებმა თვით დაიწყეს ერთმანეთშორის სიმშვიდის დამყარება, და ამის გამო მონარქისტების მიერ ატეხილი განგაში და სიხარული ფუჭად დარჩა. სატახტო გაზეთების გადმოცემით, მუშათა მოძრაობამ ხელ-ახლა იფეთქა, ამ ჟამად, გაფიცულთა რიცხვი 20000 კაცს უდრის და საქმე თურმე ჯარებთან შეტაკებამდისაც მიიდა. ამ გარემოებით კი ადვილად შეუძლიანთ კვლავ ისარგებლონ ახალი რეჟიმის მტრებმა, თუ, რასაკვირველია, მალე მუშების დასაკმაყოფილებლად რაიმე საჩქარო რეალური ხასიათის ზომები არ იქნა მიღებული; მაგრამ რომელიმე ერთდროული ზომა საკმარისი არ იქნება. საჭიროა საერთოდ მშრომელი ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად მთელი პორტუგალიის სოციალურ პირობების გაუმჯობესება, რაც მოუხერხებელია, ვიდრე ხალხის წარმომადგენლები არ იქნებიან მოწვეულნი. დაადგება თუ არა დროებითი მთავრობა ამ გზას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მროველი.

ქართული საღამო იურიევში

(დორპატში)

17 თებერვალს ქ. იურიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ გამართა მე-VIII ტრადიციური ქართული საღამო „ბიურგერმუსსე“-ში თავის ღარიბ წევრთა სასარგებლოდ.

საღამოსთვის მზადებას სათვისტომო დეკემბრის დასაწყისში შეუდგა, მან იმ თავითვე აირჩია საგანგებო კომისსია, ხოლო ამ უკანასკნელმა კი მაშინვე გამართა მიწერ-მოწერა კ. ფოცხვერაშვილთან და პეტერბურგის მსახიობებთან, ასე რომ, როდესაც სტუდენტების მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო, სათვისტომოს საღამოს მოწყობისათვის უკვე 300 მანეთამდე ქონდა გაღებული (ფული ვალად აიღეთ).

რადგანაც სხვა წყარო, რომლიდანაც შეიძლებოდა ამ ხარჯების დაფარვა, არსაიდა სჩანდა, სათვისტომომ გადასწყვიტა—ყოველ შემთხვევაში გამართა ქართული საღამო.

კომისსია მხნედ შეუდგა მუშაობას და მზად იყო 12 თებერვლისათვის მოეწყო საღამო; ანონსებიც გამოუშვეს. 2 თებერვალს დაინიშნა კრება საღამოს მომწყობ კომისსიისა. კრებას, სხვათა შორის, დაესწრენ სამიოდ ქართველიც, რომელნიც უნივერსიტეტში ჩარიცხულნი არ იყვნენ. 22 კაცს ამ კრებაზედ ხელი წაგვავლეს და 1 კვირა გაგვატარებინეს ციხეში, რადგან კრება გარეშე პირთა დასწრების გამო არა კანონიერად იცნეს.

ციხეში დამწყვდეულნი ვიყავით იმ დრომდე, სანამ ქ. რიგიდან არ ჩამოვიდა გუბერნატორი. მან გაიგო ჩვენი კრების მიზანი და გაგვანთავისუფლა, იმ პირობით, რომ ქართული საღამო უეჭველად მოგვეწყო. ეს მდგომარეობაც ზედ დაერთო, და ქართული საღამოს გამართვა აუცილებელი გახდა.

რაკი დანიშნულ დროისათვის (12 თებერვლისათვის) საღამო არ ესწრებოდა, უმჯობესად ვსცანით გადაგვედო 17 თებერვლისათვის. დრო ცოტა რჩებოდა და ამიტომაც საღამოს მხატვრული მხარე, შედარებით შარშანდელთან, ცოტას მოიკოჭლებდა.

სათვისტომო შიშში იყო, ვაი თუ უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბების გამო, საზოგადოებამ და კერძოდ სტუდენტობამ ცუდის თვალით შეხედოს ქართულ საღამოსაო, მაგრამ შიში ზედმეტი გამოდგა. ჯერ კიდევ სად. 8 ნახევარ საათ. არ იყო, რომ დარბაზი სავსებით გაიჭედა, როგორც უცხო პირებით, აგრეთვე სტუდენტობით. ასეთი აუარებელი ხალხი და მასთან ასეთი მტკიცედ დაცული დისციპლინა ქართულ საღამოს ისტორიას არ ახსოვს. ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ ფარდის ახდას.

პირველად ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მომღერალთა გუნდმა ჩინებულად შეასრულა ჩვენი ხალხური სიმღერები, ხელმძღვანელის მიერვე ჩაწერილი და შემუშავებული; შესრულებულ იქმნა, აგრეთვე, ნაწყვეტები იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატი“დან.

ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის მუსიკალურ ნიჭის შესახებ არაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რაც არა ერთხელ თქმულა, როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ პრესაში; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი მამულიშვილი, მეტად გულმოდგინეთ და სინდისიერად ეპყრობა თავისს საქმეს. მეტად კარგი იყო ბ-ნი ი. სარაჯიშვილიც; აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ტყუილი გამოდგა ის ხმები, თითქოს სარაჯიშვილს ხმა დაეკარგოს.

აღსანიშნავია აგრეთვე ჩამოწვეული ინგლისელი ქალი, სკრიპკის დამკვრელი ლ. კროუ, რომელმაც შარშანდელ საღამოზედ ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სათვისტომო არ მოერიდა არავითარ ხარჯებს მისი მოწვევისათვის წელსაც. დანარჩენ განყოფილებებიდან ყურადღების ღირსია ცოცხალი სურათები, შინაარსიანად და მოხდენილად დადგმული კოტე ფოცხვერაშვილის მიერ. სიუჟეტი ამ სურათებისა აღებულია ქართულ პოპულიარულ ლეგენდიდან: „ბაზალეთის ტბა“. მაცქვავთა შორის ხანგრძლივი ტაშის-ცემა დაიმსახურეს ქ-მა: ბერიაშვილისამ, ანანიევისამ და და ბ-მა: კ. გულისაშვილმა, კ. და მ. ჩხეიძეებმა და სხვ.

სხვათა შორის საღამოს ამშვენებდენ ოციოდე ახალგაზრდა ეროვნული ტანისამოსით, და სხვა და სხვა სტილიური კიოსკები. კონცერტულ განყოფილების შემდეგ მუსიკამ და ცეკვამ გასტანა დილის 5 ნახევარ საათამდე. საზოგადოება მთლად არც ამდროს დაიშალა. ყველანი მეტად ნასიამოვნები დარჩნენ და საღამოს გამგეს პროფ. ცეგე-ფონ-მანტეიფელს, სხვებთან ერთად, დიდი მადლობა გამოუცხადეს.

საღამოს საერთო შემოსავალი 1900 მანეთს აღემატებოდა, მაგრამ უზომო ხარჯებისა გამო, 180 მან. ძლივს დარჩა სათვისტომოს; უკანასკნელი იმდენს არ ჰკარგავს, რომ შემოსავალი თანდათან იმატებს, რადგან ჯერ-ჯერობით ბევრს, ვისაც საპატიო ბილეთები დაეგზავნათ, არ გამოუგზავნიათ თავიანთი შემოწირულება.

ბაკი ბაბავა.

პროფ. ზავიტნევიჩის აზრი შესახებ ეპ. კირიონის თხზულებისა

(„Культурная роль Иверіи въ исторіи Руси“).

ორ მარტს კიევის სასულიერო აკადემიის ისტორიულ განყოფილების აუდიტორიაში სტ. ფილიპე სირაძემ წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: „ეპისკოპოზ კირიონის აზრი საქართველოს კულტურულ გავლენის შესახებ რუსეთის ისტორიულ განვითარებაზე“. რეფერენტმა ვრცლად და საფუძვლიანად გააცნო მსმენელთ შინაარსი ეპ. კირიონის ახლად გამოცემულ მეცნიერულ შრომისა: „**Культурная роль Иверіи въ исторіи Руси**“. სავსე აუდიტორია დიდის ყურადღებით ისმენდა მოხსენებას. ინტერესმა ერთი ორად იმატა, როცა რეფერენტი შეეხო რუსულ მატიანე დამოკიდებულებას ქართულ მატიანისაგან. აგერ ორი საუკუნე გადის და რუსულ მატიანის შესახებ, როგორც ამბობს ეპ. კირიონი, საკითხი ვერ გადაუწყვეტიათ. ზოგნი ამტკიცებენ, რომ რუსის მემატიანე ბიზანტიის წყაროებით სარგებლობდა, ზოგნი კი ამას უარყოფენ და რუსული მატიანე ნესტორის საკუთარ ნაწარმოებად მიაჩნიათ. ეპ. კირიონის შრომა ნათელს ჰფენს ამ დღემდი გამოურკვეველ საკითხს. იგი არღვევს სწავლულთა იმ აზრს, რომ რუსის მემატიანე **გიორგი ამარტოლის** ქრონიკით

ირაკლი ბრძოლის წინ

თქვენი ჭირიმე არ შესდრკეთ,
ბიჭებო, ქართვლის შვილებო,
გული ჩაიდეთ მაგარი
ბრძოლაში გამოცდილებო.
დრო გვადგა, ძმებო, ისეთი
ტანზე ჩავიცვათ სუდარა.
ნუ გამაწბილებთ, მიიღეთ
ჩემი ხვეწნა და მუდარა.
მე მოვკვდე თქვენზე უწინა,
მე მიმიბაროს მიწამა,
ოღონდ ნუ დავგმობთ იმ რჯულსა
რაც კი ჩვენგანმა იწამა.
გულსა გთხოვთ გქონდესთ მაგარი,
ხმალი გაგიჭრისთ თავადა!
რასა ფაფხურობს აზატ-ხან
ჩვენზე ვინ გაათავადა?!
როდემდის წუთისოფელი
უნდა ვალამოთ შავადა?!
ერთხელ სჯობია სიკვდილი
ამდენ ხანს ყოფნას ავადა!
ჩვენ ცოტანი ვართ, მტერი კი
უთვალავია, მრავალი.
ლომს არ აშინებს ათასი
თხა რომ სამ ნახოს სალალი...
კაცს მაინც უნდა გადაჰხდეს
თავის თავ-გადასავალი
უდრეკლობაა მუდამა
მტრის დამარცხების წამალი.
სიკვდილი ვერ ჰკლავს ლომ-გულსა
სიცოცხლეც არი ალალი
მაზედ, ვინც მტერთან ბრძოლაში
მედგრობს, არ არი მალალი.
სჯობს გავიმარჯოთ ან გავწყდეთ,
მიწამა ჭამოს მკლავები.
დამარცხებულთა ვით ვნახოთ
ჩვენი ლამაზი ქალები?
„მტერმა დაგვჯაბნა“, ამის თქმით
ვაცრემლოთ იმათ თვალები?
ძნელია დამარცხებისას
ამბავს ისმენდენ დედანი,
ნაუბარს ჩვენისვე პირით
მომსხდარნი როგორც ქედანნი.
ვიქნებითა-ღა იმათთვის
საამო შესახედავნი?!
ხმალი მტერს, ხმალი, ბიჭებო,
გულ-ბრაზიანი შეტევა!
დავბერდი, გული მაინცა
საგულეს აღარ მეტევა.
ვაჟკაცად ის მწამს, ვინაცა
ერთი ათასსა ეტევა
არა ის, ვინაც ორჭოფობს
სიკვდილის ლანდებს ეძლევა.

—

უსმენდა ჯარი სიტყვასა
მხნეობით გამამტკიცარსა
იჭედავდა გულში—ვით მოსეს,
იზრაილ—რჯულის ფიცარსა.
ელოდა ბრძოლის დაწყების
ჩვეულებრ მეფის ნიშანსა.
მიდიან აზატ-ხანზედა
ძალს ახსენებენ ღვთისასა.

ვაჟა-ფშაველა.

როგორ ჰშველიან იტალიაში სოფლის მეურნეობას

შურის თვალით უყურებ დასავლეთ ევროპას, სადაც ასე ადვილად და კარგად მოაწყო სოფლის ხალხმა თავისი ცხოვრება.

ამ ოცდაათის წლის წინად იქაც ხალხი ისეთსავე გაჭირვებას განიცდიდა, როგორიც ამ ჟამად ჩვენშია. ეხლა კი იქ სოფელი განახლების გზას ადგია, მომავალი არ აწუხებს, —ჩვენ კი ისევ სილატაკეში ამოგვდის სული.

მართალია, იქ სულ სხვა პირობებია, იქ თვით ხალხია თავის ბედ-იღბალის გადამწყვეტი, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ იმათთვის კვლევა და ცდა იყო საჭირო, ჩვენ კი მხოლოდ გამორკვეულ და გატკეპნილ გზით სიარული გვჭირია. უნდა შევისწავლოთ მხოლოდ ის ზომები, რომელიც იქ უკვე ნაცადი არის და ვისარგებლოთ ისე, როგორც უფრო გამოსადეგი იქნება ჩვენთვის.

ავიღოთ, მაგალითად, იტალია, რომლის მდგომარეობა 20—30 წლის წინად მოგვაგონებს ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობას. იქაც სოფელი ჩამორჩენილი იყო, ხალხი ღატაკი და უვიცი. მაგრამ დღეს იქ სულ სხვა სურათს ვხედავთ.

როგორ მოხდა ასეთი ცვლილება?

წარსულ საუკუნის ოთხმოცდა-ათ წლებიდგან იტალია განახლების გზას დაადგა და მიზნად სოფლის აღორძინება დაისახა. საქმეს შეუდგნენ ერთად და შეთანხმებით მთავრობა, პროვინციალური თვითმმართველობა (ერობა), ახლად დაარსებული სასოფლო სამეურნეო სინდიკატები და საკრედიტო დაწესებულებანი.

მომეტებულ ნაწილად საქმეს სათავეში ერობა უდგება და კისრულობს საქმის ხელმძღვანელობას. იგი საჭირო სამეურნეო ცოდნას აწვდის ხალხს. სამეურნეო სინდიკატები და წვრილი ბანკები ხალხს საჭირო იარაღს, მასალას და ფულს აძლევენ. მხოლოდ მთავრობა თავის მხრივ მონაწილეობას იღებს ხარჯებში. მთელი ხარჯები, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის საშველად, ნაწილდება ზემოდ აღნიშნულ დაწესებულებათა შორის. მაგალითად, 1906 წელს მთავრობამ იკისრა მთელი ხარჯის—33%, ერობებმა—37%, სოფლებმა—8% და სინდიკატებმა და ბანკებმა—22%.

პრაქტიკულად საქმე ასე განხორციელდება ხოლმე:

პროვინციალური თვითმმართველობა ირჩევს 4—5 კაცისაგან შემდგარ კომიტეტს, რომელსაც ანდობს საქმის ხელმძღვანელობას. ეს კომიტეტი იწვევს აგრონომს და მას ერთს ან ორს თანაშემწეს უნიშნავს. ასეთს ორგანიზაციას იტალიაში უწოდებენ „მოსიარულე კათედრას“ (**cattedra ambulante**). ამ კათედრასი, ე. ი. აგრონომის მოვალეობაა თავის მაზრაში სასოფლო სამეურნეო სწავლის გავრცელება მოაწყოს.

ამისათვის ალაგ-ალაგ, უფრო რომელსამე კერძო მემამულესთან, კომიტეტთან შეთანხმებით, აგრონომი მოაწყობს საცდელ და საჩვენებელ მინდვრებს, ვენახებს, ბაღებს და სხვა, და დაიმუშავებს მათ საუკეთესო წეს-რიგით. ამავე დროს ჰმართავს ლექციებს და საუბარს და უხსნის ხალხს დამუშავების ახალ წეს-რიგების მნიშვნელობას. აძლევს დარიგებას, რჩევას და, ვინც მოისურვებს ახალ წესის შემოღებას, უხელმძღვანელებს კიდეც.

ასე გადადის მასწავლებელი აგრონომი სოფლიდგან სოფელში და ყველგან ცოდნას ავრცელებს. თანვე აქვს სამეურნეო წიგნაკები და ურიგებს მსურველთ.

ამას გარდა საცდელ ალაგებში აწყობს პრაქტიკულ სასწავლებლებს სოფლის მუშებისათვის, სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეისწავლონ პრაქტიკულად მიწის დამუშავების საუკეთესო წესები.

სანიმუშო ალაგები ყოველ წელს სხვა და სხვა სოფლებში იმართება იმ მოსაზრებით, რომ ყველამ შეისწავლოს წესები და თავისი თვალით დაინახოს მათი სარგებლობა.

ამის შემხედველი ხალხი მალე აქა-იქ დაიწყობს ცდას გააუმჯობესოს თავის მამულის წარმოება, მაგრამ საქმეს უფულობა აბრკოლებს. ფული საჭიროა იარაღის, ახალი თესლის, სხვა და სხვა მასალების საყიდლად.

ამ დამაბრკოლებელ მიზეზის თავიდან აცდაც ადვილად ხერხდება. იგივე აგრონომი, ან სხვა ვინმე, ურჩევს საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას, სადაც ყველას იაფად და ადვილად შეუძლიან ფული სესხად იშოვოს.

აღნიშნულ პირობებში ყველასათვის ადვილი გასაგებია საკუთარ ბანკის მნიშვნელობა და სარგებლობა და ამიტომ საქმე მალე ხორციელდება. ადგილობრივ ბანკს თა-

სარგებლობდა (ბიზანტიის წყარო) და საფუძვლიანად და თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ რუსული მატიანის ქართული მატიანის ბრმა მიბაძვით არის შედგენილი. აქ საჭიროდ არა ვსთვლი რეფერატის შინაარსის გადმოცემას. ეპ. კირიონის ხსენებულ შრომის შინაარსი მოკლედ უკვე დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე. საჭიროდ ვრაცხთ, მოვიყვანოთ აქ ერთი შენიშვნა პროფ. ზავიტნევიჩისა. რუსულ მატიანეში მოხსენებულია რამდენიმე სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა დღემდე არ არის გამორკვეული. ამგვარია, მაგ., სიტყვა **„бдына"**. რუსულ მატიანეში სწერია: **„Призва (Ольга) сына своего Святослава и заповѣда ему съ землею равно погрестись, а могилы не сути, ни тризнъ творити, ни бдына дѣяти"**. ეპ. კირიონის აზრით, სიტყვა **бдына** წარმოსდგება ქართულ სიტყვის **ბდღვნება**-საგან, რაიცა ნიშნავს ნელ-ნელა დაწვას **(медленное горѣніе)**. ოლღამ დაუბარა თავის წარმართ შვილს, რომ მისი სხეული ჩვეულებისამებრ არ დაეწვათ. პროფესორ ზავიტნევიჩის აზრით კი ხსენებულ სიტყვის ძირი არის **„буд"**. ეს სიტყვა ეხლაც ისმის ბელორუსების ლაპარაკში შემდეგ სიტყვებში: **буда, будка, будынокъ, будовать**, რაც ნიშნავს ხის შენობას; ძველად, როგორც არქეოლოგიური გამოკვლევა გვარწმუნებს, წარმართ სლავიანებს ჩვეულებათ ქონდათ, მიცვალებულის ასე დამარხვა: კუბოს ზევიდან ფიცრებით გადახურავდენ და ისე წააყრიდენ მიწას. აი ამას უკრძალავს, პროფ. ზავიტნევიჩის აზრით, ოლღა სიტყვებით: **„ни бдына дѣяти"**.. (იხ. **В. Завитневича. Вторая археологическая экскурсія въ припетское полѣсье 1891 г. стр. 52**). ეპ. კირიონის მოსაზრების წინააღმდეგ სიტყვა **„бдына"**-ს შესახებ პროფ. ზავიტნევიჩმა ისიც წამოაყენა, რომ გვამების დაწვა მალოროსიაში აღარ იყოო.

დასასრულ მან სთქვა: მე ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, რომ ძველადგანვე რუსეთ-საქართველოს შუა კავშირი არსებობდა. ამიტომ მართლაც შესაძლებელი იყო საქართველოს კულტურული გავლენა რუსეთზე მე რომ სლავიანური გლაგოლიცა და ქართული ეკლესიურ ასოებს გადავხედე, არა თუ რამოდენიმე ანბანი, მთელი ალფავიტი ქართულიდან მომეჩვენა. ეპ. კირიონის შრომა დიდად საინტერესოა. თუმცა, როგორც ყოველთვის, შეიძლება ამ შრომის ყველა მოსაზრება მართალი არ გამოდგეს, მაგრამ ბევრს აქამდის გამოურკვეველ საკითხს გამოარკვევს და ამიტომ ჩვენ ამ შრომას სიხარულით ვეგებებით.

დამსწრე.

შევჩენკოს დღესასწაული

ბაქოში

6 მარტს აქაურმა მალოროსებმა ანუ უკრაინელებმა დიდის ამბითა და ალტაცებით გადაიხადეს თავიანთი ეროვნული დღესასწაული: მოგონება მათის დიდებულ პოეტის ტარას შევჩენკოსი.

აქაურ კლუბის ფართე დარბაზში ამ დღეს ნამდვილი დღეობა იყო: ეროვნული სიმღერები, ეროვნული პიესა, ეროვნული ტანისამოსი, ეროვნული მასლაათი, ეროვნული სიტყვები და ლექსები,—ერთი სიტყვით, საღამოს ელფერი ედო, რომელიც ღაღადებდა, უკრაინა ცოცხალია და ეროვნული ცხოვრება სწყურიანო.

სცენაზე ყვავილებით მორთული პოეტის ქანდაკება იდგა, გარშემო „პროსვიტას" საზოგადოების გამგეობის წევრნი უსხდნენ. ესენი საღამოს გამგენი იყვნენ.

ფარდა აიწია. ხორომ შევჩენკოს ჰიმნი შეასრულა. შემდეგ სხვა და სხვა ერთა დელეგატებმა, პირველად გ. ყარა-მურზამ „სალიტერატურო კრუჟოკის" სახელით ილაპარაკა. მერე წარსდგა დელეგაცია პოლონელებისა. მათ ბ. ჟარკოვსკის პირით, სხვათა შორის, სთქვეს: მართალია ჩვენი და თქვენი წარსული ურთიერთ შორის მტრობით დაჩრდილული, მაგრამ მით უფრო წრფელად გიწვდით ეხლა ძმურად ხელს და გვსურს სრულიად დავივიწყოთ შავბნელი, ერთმანეთის მტრობითაა მოშხამული წარსულიო.

ილაპარაკეს თათრების დელეგატებმა, ურიებისამ, ლატიშებისამ, სომხებისამ, აქაურ ყველა გაზეთებისამ, ერთის სიტყვით ყველა მოვიდა აქ „ბატკო" ტარასის და მისი ერის პატივსაცემლად.

იყო აქ, რასაკვირველია, ჩვენი წარმომადგენელიც, რომელმაც ილაპარაკა მესამე რიგში. ჩვენმა დელეგატმა უკრაინელებს რუსულ ენაზე მიჰმართა: „მოწყალენო ხელმწიფენო! ქართველთა შორის წ. კ. გამავ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ დამავალა მოგილოცოთ დიდებული ეროვნული დღესასწაული. თუმცა ამ დღესასწაულს ცოტა შეუფერებელი სახელი ჰქვიან: შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლის თავი! მაგრამ განა შევჩენკო მოკვდა? არა, ის არ მომკვდარა და არც მოკვდება, ვიდრე ქვეყანაზედ ერთი უკრაინელი მაინც სცოცხლობს. ერის ამისთანა დიდებული ჭირისუფლები არ იხოცებიან, უკვდავნი არიან!

ვესწრებით თქვენს ეროვნულს დღესასწაულს და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, კარგად გვესმის თქვენი გულის კვეთება; ის გრძნობანი, რომელნიც აღაფრთოვანებთ თქვენ, კარგად გვესმის უკვდავი ქნარი შევჩენკოს მუზისა. ან როგორ შეიძლება ეს ასე არ იყოს, როდესაც ჩვენი მხცოვანი პოეტი აკაკი წერეთელი—რომელიც, აქვე დაურთავ, პირად იცნობდა ტარასი შევჩენკოს,—თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში სწორედ იმავე გრძნობებს გვიღვიძებდა ჩვენც, ქართველებსო. ეს მზგავსება ორის ნიჭიერის პოეტისა აიხსნება არა მიმბაძველობით და გრძნობათა და აზრთა სესხებით ერთმანეთისაგან, არამედ იმით, რომ უკრაინა და საქართველო ერთგვარ ისტორიულ სვე-ბედს განიცდიან. მართლაც და განა დაცინვა არ არის ბედისა ჩვენს თავს, რომ ამ გვარს ერს, რომელთაც გამჩენმა სულიერი ნიჭიერება უხვად მიანიჭა, სამოთხის მზგავსი მიწა-წყალი მისცა, ისეთი გარემოება დაუდგა, რომელიც ჰქმნის მხოლოდ პოეზიას ცრემლისა და გოდებისას! ერთს სტრიქონს ვერ მაჩვენებთ შევჩენკოს ნაწარმოებთა შორის, რომელიც იყოს აღსავსე ცრემლითა და გულის ქენჯნით, ეს ცხადია, მაგრამ საკვირველება აი რა არის: შევჩენკოს ცრემლი სასოწარკვეთილებაში და სილაჩრის მორევში არ გვაგდებს; ის არ გვიკარნახებს, ვითომც ყველაფერი დაკარგული იყოს და ხსნა არსაით არისო; ის არ გვიკლავს რწმენას საუკეთესო მომავლისას პირ იქით იგი გვამხნევებს და გვიწვევს ძალუმის ენერგიით ნათელ მომავლისკენ. მასთანვე გვასწავლის, რომ საბოლოვო გამარჯვება ამა ქვეყნად სიმართლეს, თანასწორობასა და ერთა შორის სოლიდარობასა ჰრჩება.

შევჩენკო, მოტრფიალე თავის ერისა და მისი უკეთესის მომავლისა, არსად ცუდად არ იხსენებს სხვა ერებს. ის ურჩევს პირიქით, ისწავლონ და მიიღონ სხვათაგან ყოველივე კარგი, მხოლოდ ნუ დაივიწყებენ თავის ერს, რადგანაც: ვინც დედას ივიწყებს, მას ღმერთი სჯის. **(Бо хто матір забуває, того Богъ карає)** დასასრულ, ბატონებო, ნებას მივცემ ჩემს თავს, წაგიკითხოთ ქართულს ენაზე ერთი ლექსი შევჩენკოსი, რომელიც იწყობა ასე: **„Какъ взгляну я, подивлюся на родное поле"**.

აქ ჩვენმა დელეგატმა წაიკითხა შემდეგი ლექსი ტარას შევჩენკოსი;

ედემის მზგავსსა ჩემს სამშობლოში
რომ მეც ვსცხოვრებდე, არ მაქვს უფლება,
ღმერთო მაღალო, შენ მომეც მოხუცს
ტკბილ-სანეტარო თავისუფლება!

⁂

მაშინ ვნახავდი ჩემს უკრაინას,
ჩემსა სახლ-კარსა დაობლებულსა,
იქ თანამოძმე მომცემდა სალამს,
მოხუცს მცხოვანსა, შორით მოსულსა!

⁂

დავისვენებდი იქ ცოტაოდენ,
ვუძღვნიდი ღმერთსა ქებათ-ქებასა,
იქ მე .. მაგრამა ფუჭია ფიქრი,
რას ვაქნევ სიზმართ აღმა-ფრენასა!

⁂

წილად მხვდა, ვხედავ, მე ტყვეობაში
უნუგეშობის ალში ტრიალი,
მასწავლეთ, ძმანო, როგორ ჩავაქრო
ამ ბედ-კრულ გულში ცეცხლი ტიალი!

მასპინძლებმა - უკრაინელებმა დიდი მადლობა გადაუხადეს დელეგატებს. საღამოზედვე მოაგროვეს საკმაო ფული შევჩენკოს ძეგლისთვის, რომელიც, როგორც განზრახულია, ქ. კიევში უნდა დაუდგან პოეტს.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ბაქოში დიდ პატივშია აზრი ეროვნულად საზოგადოების დაყოფისა. ლატიშები აქ ისე ცოტანი არიან, რომ სათქმელიც არ არის, მაგრამ მათაც თავიანთი ეროვნული წრე და ეროვნული დაწესებულებები აქვთ, ეს ოდნავაც არ უშლის ხელს ერთა სოლიდარობას და ურთი-ერთ შორის პატივის ცემას. ყველა ერებს აქვთ აქ თავიანთი სკოლები, ეკლესიები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები; იკრიბებიან ერთად და თავიანთ ეროვნულ ჭირვარამზე ბჭობენ. ეს გარემოება არავის არ ეჩოთირება თვალში და ყველას ბუნებრივ და კანონიერ მოვლენად მიაჩნია. საზოგადო ჰანგს, რაღა თქმა უნდა, არც ჩვენები ჩამორჩნენ და დღითი-დღე მეტს სურვილს იჩენენ შეერთებისას და ქართულ საქმისათვის მუშაობის და წვლილის გაღებისას.

მიხეილ ნახაძე.

სტოლიპინის გადადგომის ხმები

„კასპი"-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, ბრძანება სტოლიპინის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 10 მარტს გამოცხადდება და მინისტრთა კაბინეტის მმართველად დროებით კოკოვცევი დაინიშნებაო.

სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტები ძალიან დაღონებულნი არიან სტოლიპინის გადადგომით. ოქტომბრისტები გულ-გრილად შეხვდნენ ამ ამბავს, ისინი იმ აზრისანი არიან, რომ სტოლიპინი ერთს პოლიტიკურს გეგმას არ მისდევდა. ბიუროკრატიულ წრეებში სტოლიპინის წასვლა არავის აღონებს.

„რეჩი" სტოლიპინის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ახასიათებს, იგონებს სათათბიროს ორჯერ დათხოვნის ამბავს და სტოლიპინს ახასიათებს, როგორც „სრულიად რუსეთის გუბერნატორს", გაზეთი ურჩევს ახალს კაბინეტს, სრულიად განაახლოს თავისი შედგენილება და ფართო საზოგადოებრივ აზრს დაუმყაროს. „ბირჟ. ვედ." ეხლანდელ კრიზისს კონსტიტუციონურს კრიზისს უწოდებს და აღნიშნავს, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მინისტრი სამსახურს თავს ანებებს მარტო იმიტომ, რომ საკანონმდებლო დაწესებულებასთან უთანხმოება მოუვიდაო.

„რუსკ. ზნ." საყვედურს უთვლის სტოლიპინს, თვით-მპყრობელობას და გაბატონებულ ერის ინტერესებს იბრძოდაო. „ნოვოე ვრემია" აღნიშნავს, სტოლიპინის გადადგომა ცუდად იმოქმედებს მეოთხე სათათბიროს არჩევნებზე, ფინლანდიაში საქმეებს გაამწვავებს და საერთა-შორისო საკითხებიც აიწეწებაო.

როგორც ხმა დადის, სტოლიპინს, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, გრაფის ხარისხს მისცემენ.

სოფ. კონდოლ-კისისხევის სეტყვის საწინააღმდეგო ორგანიზაცია

და მისი წლიური ანგარიში.

რადგანაც ამ სოფლების ბევრი მსხვილი მემამულე აქ არა სცხოვრობს, და მათთან პირადად გამოლაპარაკება საჭირო საქმეზე შეუძლებელი ხდება, ამიტომ ვთხოვ უმორჩილესად პატივცემულ „სახალხო გაზეთის" რედაქციას დაგვიბეჭდოს ეს წერილი, რათა ამის საშუალებით შევიძლოთ გაცნობა საზოგადოების წევრთა საქმის ვითარება და წლიური ანგარიში.

სოფელ კონდოლი და კისისხევი თავის ორ პატარა მეზობელ სოფლებით, ნასომხარით და ტოლნიანით, შეადგენენ ერთ დიდ საზოგადოებას შვიდას კომლ მცხოვრებლით. ვენახები ჩვენი ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენენ. ჩვენი საზოგადოების თავად-აზნაურობამ, საუფლისწულო მამულის მიხედვით, ამ თხუთმეტი წლის წინათ შეიძინა სეტყვის საწინააღმდეგო მორტირები, 17 ცალი, რომელნიც დაჯდა 3500 მანეთი. რადგან დიდი ხნის გამოცდილებით სოფ. წინანდლის საუფლისწულო მამულთან ერთად ჩვენც დავრწმუნდით რომ სეტყვის წინააღმდეგ მორტირებით ბრძოლას დიდი სარგებლობა მოაქვს, მორტირების შეძენაში გლეხებსაც მივმართეთ, მაგრამ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ. თუმცა ზოგიერთ მემამულეთ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული აქამდისაც არ გადაუხდიათ, მაგრამ მორტირები, როგორც იყო, მაინც დადგეს და პირველ, ორ-სამ წელს თითონვე უძღვებოდნენ ყოველ-გვარს ხარჯებს. ზოგიერთ მიზეზების გამო მორტირების მოქმედება შეჩერდა. კარგი საგონებელი მაგალითი მოგვიტანა 1909 წ., როდესაც სეტყვამ კონდოლს შუა, ზევით და კისისხევს შუა, ქვევით საგრძნობელი ზარალი მიაყენა, დაახლოვებით 30000 მან., რამაც მემამულენი საგონებელში ჩააგდო.

წარსულს 1910 წ. 23 მაისს ქ. თელავში დაინიშნა მემამულეთა კრება მორტირების არსებობის საკითხის გამოსარკვევად, სადაც შევამუშავეთ წლიური ხარჯის ანგარიში და დავადგინეთ: 1) გადავიხადოთ ყველა მემამულემ ხარჯის გასაძღოლად დღიურ ვენახზე 50 კაპ., 2) გადავიდეს უსასყიდლოდ მორტირები მთელ საზოგადოების საერთო სასარგებლოდ, 3) ვთხოვოთ გლეხობასაც დახმარება გაგვიწიონ წლიურ ხარჯის გადახდაში დღიურ ვენახზე თითო აბაზი ფულით. ამ საქმის გასაძღოლად წლიურ ხარჯს შეადგენს 15-20 ფუთი თოფის წამალი, დარებული ფუთი 12 მანეთად; ფისტონი 5 მანეთის, ერთიმოჯამაგირე კაცის ოთხი თვის ჯამაგირი 60 მან. სულ 240-300 მან.

ერთ დროულ ხარჯად მორტირების შესაკეთებლად არის საჭირო 70-80 მან. რადგანაც შეძენის შემდეგ არც შეკეთებულა და იმგვარადაც შედებია. მორტირებისთვის თავშესაფარი ფიცრული ოთახებიც არის საჭირო.

ამ საქმის გასაძღოლად და მასალის შესაძენად კრებამ ამოგვირჩია ჩვენ: მე, ა. ლიონიძე და ა. კირაკოზოვი. როგორც-კი შევუდგით საქმეს გავუძღვით და თუ საზოგადოება არ დაგვრჩა უკმაყოფილო, შემდეგშიაც დიდი სიამოვნებით ვიკისრებთ და არ დავიშურებთ ენერგიას, ოღონდ საზოგადოება თავის მხრით ყურადღებით მოეპყრას. კრების დადგენილება გამოუცხადეთ გლეხ-კაცობასაც ყრილობზე. უმეტესი ნაწილი დაგვეთანხმა, მაგრამ როდესაც ფულის აკრეფაზე მოვიდა საქმე, ყველამ უკან დაიწია. ამ სოფლების ყველა მამულებს ახლო ინტერესებით არის გადაბმული, ბევრი რამ აქვთ საერთო: სეტყვა, წყალი, ფილოქსერა, ვაზის ავად-მყოფობა და სხვა ამ გვარი ჭირი გლეხისა და თავადის ვენახს არ არჩევს. ამ გვარ მტერთან საერთო ბრძოლაა საჭირო. ჩვენ მაინც იმედს არა ვკარგავთ. ახლო მომავალში ყველა ჩვენგანი კარგად შეიგნებს საერთო საქმის მნიშვნელობას და მხურვალედ მოეკიდება შემდეგ მაინც. სეტყვისაგან მიბეზრებული კახეთის სოფლები ფიქრობენ სეტყვის საწინააღმდეგო მასალის შეძენას; ამათთვის ეს ჩვენი ორგანიზაცია კარგი მაგალითი უნდა იყოს.

საქმის ნათლად გამოსარკვევად წარსულ 1910 წლიდან შევადგინეთ საგანგებო ხარჯ-შემოსავლის დავთრები. დოკუმენტები ინახება. ვთხოვ ვისაც ჰსურს, მობრძანდეს ჩემთან სოფ. კონდოლში, და საქმეს გაეცნოს. უმორჩილესად ვთხოვთ აგრეთვე ჩვენს თანამემამულეთ შეგნებულად მოეკიდნენ ამ საქმეს, გამოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული, როგორც [illegible] 1910 წლისა, ისე მომავლისათვის, რადგანაც საჭირო მასალის შეძენას, გუბერნატორის ნებართვას და სხვას ბევრი დრო უნდა.

1910 წ. შემოსავალს შეადგენს: 1) 3 მან. ძველი, დარჩენილი საუფლისწულო მამულის კასაში, საიდგანაც ვსარგებლობთ მორტირების წამლით. 2) თავად-აზნაურთა და მოქალაქეთაგან სულ შემოტანილია 147 მ. 60 კ.

ამავე წლის ხარჯს შეადგენს: გუბერნატორის არზა, ტელეგრამები და სხვა ფოსტის ხარჯი 6 მ. 90 კ., კანცელარიის ხარჯი 2 მ. 78 კ., საუფლისწულო მამულის კასაში შეტანილი წამლისთვის 113 მ., 8 კოლოფი ფისტონი 7 მ. 20 კ, მორტირის შეკეთება 1 მ. სულ 130 მ. 88 კ. 1911 წლისათვის დარჩა: ნაღდი ფული 16 მან. 72 კ., წამალი 6 ფუთი და 5 კოლოფი ფისტონი, რასაც უმორჩილესად ვუწყებ საზოგადოებას*).

ალექსანდრე ლიონიძე.

რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

იაპონური გაზეთები, დაწვრილებით იხილავენ ჩინეთ-რუსეთის საქმეს, ჩინელებს ამტყუნებენ და რუსებს ომის დაწყებას დაბეჯითებით ურჩევენ.

რუსების მეორე ნოტამ **ჩინელების გაზეთები** აღელვა. აუარებელი ამაღელვებელი ხმები დადის. მანჯურიიდან და ამურის მხარედან ჩინელები ბლომად გარბიან. ჩინეთში ყველგან მიტინგები იმართება.

ინგლისური გაზეთები დარწმუნებულნი არიან ომი მოხდება და კორესპონდენტების გასაგზავნად ემზადებიან.

პეკინიდან ამბავი მოვიდა ჩინელების მიერ მეორე მოთხოვნილებაზე მიცემული პასუხი პირველ პასუხს მთლად აქარწყლებსო.

6 მარტს **პეტერბურგში** ჩინეთის პასუხს უცდიდნენ, მაგრამ 12 საათამდის პეკინიდან არაფერი არ მოსულა.

ევროპის შეიარაღება

„მშვიდობიანი" ევროპა მშვიდობიანობის ხანაში გაშმაგებული იარაღდება, ჯარს ამრავლებს, სამხედრო იარაღსა და წესებს აუმჯობესებს, მოკავშირე სახელმწიფოებს ეძებს და უმეგობრდება, რომ ომის დროს მოუმზადებელი არ დახვდეს მისეულ მტერს.

დღეს ევროპის სახელმწიფოთა ორი დიდი კავშირია: **„სამთა კავშირი"**, რომელშიაც შედიან: გერმანია, ავსტრო-ჰუნგრეთი, იტალია, ოსმალეთი; **„სამთა შეთანხმება"**—რომელშიაც შედიან: რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი.

ევროპის სახელმწიფოთა შეიარაღებაზე ფრიად საყურადღებო ცნობები შეუკრებიათ ავსტრიელ მაიორს ველცს (დასტამბულია სამხედრო ალმანახში „Lenternationaler Armee-Almanach", 1910—1911 წ.) და გერმანელს ვეიერს (დასტამბულია „Taschebuch der Kreigsflotten"-ში, 1911 წ.).

„სამთა შეთანხმების" მცხოვრებთა რაოდენობა:

	მცხოვ-რიცხვ.	ხარჯთ-აღრიცხვა
რუსეთი	—162 მილ.	2,700 მილ. მ.
საფრანგეთი	—39,250,000	1,500 „ „
ინგლისი	—46 მილ.	1,968 „ „
სულ	—247,250,000	6,258 მ. მ.

„სამთა კავშირის" სახელმწიფონი.

	მცხოვ-რიცხვი	ხარჯთ-აღრიცხვა
გერმანია	—65 მილ.	1,600 მილ. მ.
ავსტ.-უნგ.	52 მ.	1,766,300,000 მ.
იტალია	34,500,000	918 მილ. მ.
ოსმალეთი	24 მ.	255,200,000 მ.
სულ	175,500,000	4,539,500,000 მან.

„სამთა შეთანხმება" შეიარაღებაზე ჰხარჯავს:

	ჯარის ხარჯი	ფლოტი	საერთო შეიარაღება.
	ათასი მან.	ათასი მან.	ათასი მან.
რუსეთი	563,600	91,000	654,800
საფრან.	331,600	142,600	474,200
ინგლისი	266,480	389,760	652,240
სულ	1,161,680	623,560	1,785,240

---

*) ეს ანგარიში უნდა წარედგინოს კონდოლ-კისისხევის საზოგადოებას, რომლის კრებაც განზრახულია მოხდეს 13 მარტს ამა წლისა. ა. ლ.

ვის მხრით ფულის შოვნა არ უჭირდება. იტალიაში არსებობენ სამაზრო შემნახველ-გამსესხებელი კასსები, სადაც ხალხი თავისუფალ ფულს ინახავს. სოფლის ბანკებმა ნდობა დაიმსახურეს და ფული ამ კასსებიდგან გამოაქვთ სესხით. ამას გარდა, თვითონ ადგილობრივი მცხოვრებლებიც თავის ფულს სოფლის ბანკებში ინახავენ.

ამნაირად სოფლელმა აგრონომისაგან გაიგო, როგორ დაიმუშაოს თავისი მამული, ფულიც აქვს, მაგრამ წინ კიდევ ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება. არ იცის, სად და როგორ იყიდოს იარაღი, თესლი, საჭირო სასუქი (უფრო ხშირად ხელოვნური). მედუქნეები მოატყუებენ, ძვირადაც დაუსვამენ მასალას და უხეიროც იქნება. ამას გარდა, ცალკე ადამიანი ვერას მოაწყობს ასეთ სამეურნეო დარგებში, როგორც არის ერბოს და ყველის გაკეთება, ღვინის კარგად დაყენება და სხვა, რადგანაც აქ საჭიროა ქარხანა, საზოგადო მარანი და პირველ ხანებში მცოდნე კაცის ხელმძღვანელობაც.

აქაც აგრონომი, ან მისი მომადგილე, იხსნის წვრილ მემამულეს გაჭირვებიდან: „შეერთდით, დაარსეთ ამხანაგობა და ყველაფერი ადვილი იქნება", ეუბნება იგი სოფლელებს.

ამნაირად არსდება სოფლის სამეურნეო ამხანაგობები, რომლებსაც იქ სოფლის სინდიკატებს უწოდებენ, აგრეთვე სხვა და სხვა სპეციალური ამხანაგობები (კოოპერატივები) მერძევეთა, მევენახეთა, მებოსტნეთა, მიწების მოიჯარადრეთა და სხვა.

ვნახოთ, როგორ არიან დაკავშირებულნი ეს დაწესებულებანი ერთმანეთთან.

აგრონომმა უჩვენა მემამულეს, როგორ უნდა დაიმუშაოს მან თავის მამული, რომ უმეტესი შემოსავალი აიღოს და მასთან ყველა საჭირო იარაღის და მასალის სია შეუდგინა. ამ სიით მემამულე მოდის თავის სინდიკატში და იღებს იქიდგან ყველაფერს, რაც საჭიროა. სინდიკატი ჩამოართმევს მემამულეს ბარათს, ან თამასუქს და წარადგენს მას სოფლის ბანკში, რომელიც ბარათში აღნიშნულ ფულს აძლევს სინდიკატს. სოფლის ბანკს შეუძლიან თავის მხრივ ეს ბარათი წარადგინოს პროვინციალურ კასაში და მისგან მიიღოს ფული. ვადაზე, როცა მემამულე გაჰყიდის მოსავალს, იგი გამოისყიდის ბანკიდგან თავის ბარათს. უფრო ხშირად მოსავალიც ებარება ამხანაგობას გასასყიდლად და ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ამხანაგობა გამოისყიდის მემამულეს ბარათს. ამნაირად სოფლის მეურნე ხშირად ერთ მანეთსაც არ იღებს ჯიბიდგან და ყველა მასალა კი, რაც საჭიროა საქმის საწარმოებლად, ეძლევა დაუბრკოლებლად.

ასეთი ორგანიზაცია წარმოადგენს სრულს გარანტიას ყოველისათვის, ვინც მაში ჩარეულია. აგრონომის რჩევა და ხელმძღვანელობა უზრუნველ ჰხდის კარგ მოსავალს რომლის განაღდება სინდიკატის ან სხვა ამხანაგობის შემწეობით აგრეთვე უზრუნველყოფილია და ბანკი, რომელიც ფულს იძლევა, დაიმედებულია, რომ გაცემულ ფულს უსათუოთ დაიბრუნებს ვადაზე.

რომ მოვინდომოთ ჩვენშიაც ასეთ ორგანიზაციის მოწყობა, როგორ უნდა მოვიქცეთ? ერობა ჩვენში არ არსებობს. ვინ უნდა იკისროს მეთაურობა, ვინ დააყენებს მოსიარულე აგრონომს?

იმ სახელმწიფოებში, სადაც ერობა არ კისრულობს მეთაურობას, არსდებიან სპეციალური სამეურნეო საზოგადოებანი, რომელნიც უძღვებიან ამ საქმეს. ჩვენში ეს მოვალეობა უნდა იკისროს ახლად დაარსებულმა ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ.

აგრონომების მოსაწვევათ საჭიროა ხარჯი. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ თავად-აზნაურობის სამეურნეო თანხით, რომელსაც ყოველ წელს ეძლევა სათავად-აზნაურო ბანკიდან 30—40,000 მანეთი. სამეურნეო საზოგადოება, თავად აზნაურობასთან შეთანხმებით, დაარსებს მოძრავ კათედრებს, და წინამძღვანელობას გაუწევს მათ, ხარჯს კი გასწევს თავად-აზნაურობა*).

საკრედიტო ამხანაგობების დაარსება ეხლა ჩვენში გაადვილდა, რადგანაც შველას უწევს მათ თვით მთავრობა. თუ განხორციელდა ზემოდ აწერილი ორგანიზაცია, ჩვენ სამეურნეო ბანკსაც შეუძლიან ამ ამხანაგობებს გაუხსნას კრედიტი. ეს ბანკისათვის საშიში აღარ იქნება, რადგანაც გასესხებული ფული მიაღწევს თავის მიზანს, დატრიალდება სოფლის წარმოებაში, გააუმჯობესებს მას, აწევს შემოსავალს და უკანვე დაუბრუნდება ბანკს.

მთავრობის შველაც იქნება შემდეგში საჭირო ხარჯების მხრივ, მაგრამ აქ ჯერ არა ითქმის რა. დავიწყოთ საქმე, დავანახოთ ყველას, რომ შეიძლება საქმის გაკეთება და მას შემდეგ შეგვიძლიან ამ მხრივაც მოვახერხოთ ყველაფერი, რაც დაგვჭირდება.

ხ. ვ—ხ—

---

*) თითო მოძრავი კათედრა იტალიაში ჯდება დაახლოვებით 4000 მანეთი.

„სამთა კავშირი“ შეიარაღებაზე ჰხარჯავს:

	ჯარის ხარჯი	ფლოტი	საერთო შეიარაღება
	ათასი მან.	ათასი მან.	ათასი მან.
გერმანია	381,120	208,800	589,920
ავსტ.-უნგრეთი	179,520	26,800	206,320
იტალია	138,400	70,880	209,280
ოსმალეთი	94,800	15,200	110,000
სულ	793,840	321,680	1,115,520

„სამთა შეთანხმება“ შეიარაღებაზე 669,720 მილიონ მანეთს მეტს ჰხარჯავს, ვიდრე „სამთა კავშირი“.

ოსმალეთი მთელ შემოსავლის 43 პროცენტს შეიარაღებაზე ჰხარჯავს, **გერმანია**—36,8 პროცენტს, ინგლისი —38,3 საფრანგეთი—29, რუსეთი—24, იტალია—23 და ავსტრო-უნგრეთი—12 პროცენტს.

ამ სახით ევროპა შეიარაღებაზე ყოველ წლივ თითქმის 3 **მილიარდს** მან. ჰხარჯავს.

ჯარის რაოდენობა სხვა და სხვა სახელმწიფოში მშვიდობიანობის დროს.

	აფიცერი	ჯარის-კაცი	ცხენი
რუს.	32 ათასი	1,384 ათას.	600 ათას.
საფ.	30 ათას.	572 ათას.	140 ათას.
ინგ.	21,172	362 ათას.	58 ათას.
სულ	111,172.	2,318 ათას.	798 ათას.
	აფიც.	ჯარ. კაც.	ცხენი
გერმ.	32,580	600 ათას.	114 ათას.
ავსტ. უნგ.	25 ათას.	366 ათას.	71 ათას.
იტალ.	14,500	270 ათას.	62 ათას.
ოსმ.	24 ათას.	270 ათას.	50 ათას.
სულ	96,080	1,506 ათასი	297 ათას.

ამ სახით მშვიდობიანობის დროს „სამთა შეთანხმებას“ 827,092 მეომრით მეტი ჰყოლია, ვიდრე „სამთა კავშირს“. ამას უნდა დავუმატოთ ახლად გაწვეული ჯარის კაცნი (რეკრუტები), რომელიც გამოჰყავს:

რუსეთს —456,500
საფრანგეთს —289,000
ინგლისს —150,000
ს უ ლ . . . 895,500
გერმანიას —280,000
ავსტ.-უნგრ. —136,000
იტალიას — 90,000
ოსმალეთს — 95,000

ომიანობის დროს სამხედრო ძალთა განწყობილება თვალ-საჩინოდ იცვლება **გერმანიას** შეუძლიან გამოიყვანოს 6,500 ათასი მეომარი, **საფრანგეთს**—5,700 ათასი, **რუსეთს**—4 მილიონი, **ავსტრ.-უნგრეთს**—3,700 ათასი, **იტალიას**—3,300 ათასი, **ოსმალეთს**—1,500 ათასი, **ინგლისს** მხოლოდ—700 ათასი.

ამ სახით „სამთა შეთანხმებას“ ომიანობის დროს შეუძლიან გამოიყვანოს 10,200,000 მეომარი, „სამთა კავშირს“ კი—15 მილიონი, ესე იგი 4,800,000 მეტი, ოსმალეთიც რომ არ მიემხროს, 3 მილიონით მეტი.

ომიანობის დროს საფრანგეთს გამოჰყავს მთელ მცხოვრებთა 14 პროცენტი, გერმანიას—10, იტალიას—10, ავსტრ. უნგრეთს—8, ოსმალეთს—6,8 რუსეთს—3, ინგლისს—1,5 პროცენტი.

ასეთია ევროპის დიდ სახელმწიფოთა ხმელეთის ჯარის რაოდენობა.

სამხედრო ფლოტის რაოდენობა:

	წყალწყვა	მეზღ. რიცხვი
რუსეთი	624 ათასი	42 ათასი
საფრანგეთი	626 ათასი	44 ათასი
ინგლისი	1,980 ათასი	131,066
ს უ ლ .	3,230 „	217,066 „
გერმანია	720 ათასი	45 ათასი
ავსტ.-უნგრ.	263 ათასი	13,400 „
იტალია	540,900	30,500 „
ოსმალეთი	62,414	13 ათასი
ს უ ლ .	1,586,314	101,900

სამხედრო გემები ჰქონიათ:

	საომ. ხომალდი.	კრეისერი.	ამენგმენ.
რუსეთი	13	3	4
საფრანგეთი	17	21	10
ინგლისი	67	38	8
სულ . .	91	62	22
გერმანია	29	16	12
ავსტ.-უნგ.	10	3	2
იტალია	19	5	4
ოსმალეთი	4	4	2
ს უ ლ . .	62	28	20

მთელი ევროპის სამხედრო ხარჯთაღრიცხვა წელიწადში 4,005,240,000 მანეთს უდრის.

მშვიდობიანობის დროს მთელი ევროპის ჯარი 4,629,000 უდრის.

ომიანობის დროს ევროპას 28 მილიონ გაწვრთნილ მეომრისა და 208 დიდ საომარ გემის გამოყვანა შეუძლიან.

მოწერილი ამბები

დ. სურამი. აგერ სამი წელიწადი სრულდება, რაც აქ არსებობს კერძო პროგიმნაზია, ჯერ-ჯერობით ორ კლასიანი. სურამელები და ხაშურელები, დატაცებული თავისი ადგილობრივი ინტერესებით, ერთ ქიშპში არიან, არა სურამში უნდა იყვეს სასწავლებელი, არა ხაშურში; ამასობაში კი ორთავ სკოლების საქმე დაცემულია. საშუალო სასწავლებლის შენახვა ვერც სურამს შეუძლიან და ვერც ხაშურს. საზოგადოება ან ფულით უნდა იყოს მდიდარი, ან ენერგიით სავსე ხალხით. ეს ორი საზოგადოება კი ორთავეთი ღარიბია. დროა შეიგნონ ამ ორთავ საზოგადოების წევრებმა, რომ მხოლოდ შეერთებულის ძალით, ენერგიით და ქონებით შეიძლება იღორძინოს აქ რაიმე სასწავლებელმა. ამასთანავე უნდა გვითქვათ, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენლები ძალიან არიან გატაცებულნი „მთავრობის უფლებიანი პროგიმნაზიით“, ის კი ავიწყდებათ ამ ბატონებს რომ ასეთი სასწავლებელი ბევრად ძვირად ჯდება კერძოსთან შედარებით (მთავრობის ორ კლასიან პროგიმნაზიის წელიწადში უნდა ჰქონდეს ხარჯი 18,500 მან. შენობის ქირის გარდა, კერძოს კი 4—5 ათასი მანეთით ნაკლები); უფრო კიდევ ხელსაყრელი არ არის უფლებიანი პროგიმნაზია იმ მხრივ, რომ ყოველ ხელმოკლე ადგილობრივ მცხოვრებისთვის კარები დაკეტილი იქნება იმ მიზეზით, რომ ამნაირ სასწავლებელში სწავლის ფული არის დაწესებული არა ნაკლებ 80 მანეთისა, რაიც ძნელი გახდება არამც თუ დარიბ ხალხისთვის, არამედ საშუალოსთვისაც, რომელსაც ოჯახში 2—3 ბავშვი ეყოლება გასაზრდელი; ამ სწავლის ფულსაც ზედ რომ დაუმატოთ აუცილებელი ფორმით ჩაცმა ბავშვისა, წიგნები, მაშინ ნათლად დავინახავთ ჩვენი სოფლის ხალხის ხელ-მიუწდომლობას ამნაირ სასწავლებლისადმი.

სჯობს ბევრად ეს ორი ზემოხსენებული საზოგადოება შეერთდეს ამნაირად: აგონ შენობა შუა მანძილზე (ხაშურსა და სურამს შუა ოთხი ვერსია მანძილი) და დაარსონ კერძო პროგიმნაზია სწავლის ფულით 40—50 მანეთი. მაშინ გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანს მდაბიო ხალხსა. ვისაც სწავლის გაგრძელების სურვილი ექნება და სიმწიფის მოწმობის აღებაც, ამასაც ეშველება ამნაირად: უთხოვოს ტფილისის ქართულ კერძო გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს ყოველ წლივ გამოგზავნოს თავისი ერთი ან ორი წარმომადგენელი სარევიზიოდ ან სწავლის დროს, ან გამოცდებზე, როგორც თვითონ დაინახავს საჭიროდ; მისცენ თავისი მხრით მიმართულება ამ შეერთებულ სურამის პროგიმნაზიას, რომ ყოველისფრით შეესაბამებოდეს და ემსგავსებოდეს კიდეც ტფ. ქართ. გიმნაზიას, რათა ამითი უფლება ექონდეს აქაურ პროგიმნაზიის მოსწავლეებს გამოუცდელად შესვლა ტფ. ქართ. გიმნაზიის. შემდეგს კლასში.

მგონი რომ ამის წინააღმდეგი არა იქნებოდა-რა ტფ. ქართ. გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს, მით უმეტეს, რომ აქამდის ქუთაისის ქართ. გიმ. მოსწავლეთ ასეთი გამოუცდელად შესვლის უფლება ჰქონდათ ტფილისში შემდეგს კლასში. თუ ამნაირად იქნება საქმე დაყენებული, მომავალი ხაშურისა და სურამის შეერთებული სასწავლებლისა უზრუნველ ყოფილად შეიძლება ჩაითვალოს. **დ. პ.**

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

საზღვარ-გარედ.

მადრიდი. მინისტრთა საბჭო, რომელსაც მეფე თავმჯდომარეობდა, საფრანგეთ-ისპანიის უთანხმოებას შეეხო. ეს უთანხმოება მაროკოს საქმემ გამოიწვია. კანალეხასმა განაცხადა, საფრანგეთ-ისპანიის მეგობრულ განწყობილების წყალობით, ეს უთანხმოება მშვიდობიანად გათავდება.

ბერლინი. ლანდტაგში, საიმპერატორო კანცლერმა ჰეიდებრანდტს პასუხი გასცა და განაცხადა, ელზას-ლოტრენის დამოუკიდებლობა იმპერიისათვის ხელ-საყრელია, იმ აზრით, თუ გერმანიას საფრანგეთთან ომი მოუხდება, ელზას-ლოტრენი თავის როლს შეასრულებს. ეს მხარე კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიურად გერმანიას მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს. ამიტომ საჭიროა, ელზას-ლოტრენმა საიმპერიო საქმეებში მონაწილეობა მიიღოს. კანცლერის სიტყვას მემარცხენენი მიესალმნენ.

სტამბოლი. განათლების ახალ მინისტრის მიერ გამართულმა კრებამ, რომელშიაც ბერძენთა დეპუტატები და პალატის ფრაქციის უმრავლესობაც მონაწილეობას იღებდა, ნაციონალურ სკოლათა უპირატესობანი ყურადღებოდ დასტოვა.

მეხმედ-შეფკეთი მომავალ კვირაში ალბანეთისა და მაკედონიის დასათვალიერებლად მიემგზავრება.

ბერლინი. დეპუტატთა პალატაში ჰეიდებრანდმა განაცხადა, კონსერვატორთა პარტია უფლებას დაიცავს, რომ მთავრობას მომავალში ელზას-ლოტრენის თაობაზე ანგარიში მოსთხოვოს. დეპუტატის აზრით, ეს საკითხი გერმანიის უშიშროებისათვის დიდი საკითხია. ამ შემთხვევაში ჩადენილ უგვანო შეცდომათა გამოსასწორებლად გერმანიის სისხლის დათხევა დასჭირდება. პრუსიის ისტორიული უმთავრესი დებულება თავის-თავის უარყოფაზე კი არა, წესიერებასა, ძლიერ ჯარსა და ძლიერ მონარქიაზეა დამყარებული.

სტამბოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა, ქვედა პალატაში განაცხადა, შვეცია წვრილ ეროვნების იარაღის აყრაში მესვეურობას ვერ იკისრებს, რადგანაც ამას არა სასურველი შედეგი მოჰყვება.

ტოკიო. კორეელ არისტოკრატების წარმომადგენელთ ელიან. ამათ მიკადოს ერთგულება უნდა გამოუცხადონ. კორეის ძველი იმპერატორის მოსვლა გადაიდო.

სტამბოლი. მახმუდ-შეფკეთი პალატას დაჰპირდა, ქრისტიანებს სამხედრო სასწავლებლებში შესვლას გავუადვილებთ. ბიუჯეტში აფიცერთა, მეტადრე აბდულ ჰამიდის ყარაულთ ჯამაგირების მომატების საჭიროება აღნიშნული.

ლონდონი. კლეიდის ხეობაში, სამხრეთ უელსში, სამთა-მადნო მადაროების მუშებმა არეულობა მოახდინეს. პოლიციას ქვები დაუშინეს და რამდენსამე ქოხს ცეცხლი წაუკიდეს. პოლიციამ მუშები გაჰფანტა.

ფ რ ე ნ ა.

ლონდონი. მაკსიმ ხაიმარმა, ავიატორებმა უაიტმა და ბლერიომ სამხედრო აეროპლანების ამშენებელი საზოგადოება შეადგინეს. უნდა ააშენონ ერთი ჩქარი საფრენი პატარა აპარატი, საზღვრავად გამოსადეგი და ერთიც ბიპლანი, რომელიც 500 გირვანქა ასაფეთქებელ მასალის ზიდვას შესძლებს.

დუე. მფრინავი ბრეგე 11 მგზავრით 3 კილომეტრის მანძილზე გადაფრინდა. აეროპლანის საერთო სიმძიმე 1183 კილოგრამს (76 ფუთს) უდრის.

რ უ ს ე თ ი

სიზრანი. საყოველთაო სწავლების საქმის გასაუმჯობესებლად ერობამ იშუამდგომლა მიეცეს 92.000 მან. 20 წლის ვადით 3%—თ. ფული შენობების ასაგებად უნდათ.

პეტერბურგი. ბევრ ქარხანას თუჯი აკლია. ამის თაობაზე ვაჭრობის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში პროექტი შეიტანა. პროექტი თხოულობს, 1913 წ. 1 იანვრამდის საზღვარ გარეთიდან შემოტანილ თუჯს ბაჟი დააკლდეს. თუჯი 10 მილიონ ფუთზე მეტი არ უნდა იყოს შემოტანილი.

გომელი. ზამგის ქუჩაზე, ერთ სახლის ეზოში ორმოში ჩაფლული 9 ყუმბარა და ხანჯალი იპოვეს.

ეკატერინოსლავი. სასულიერო სასწავლებლიდან დათხოვნილი მოწაფე კლასში მივიდა და მასწავლებელს დეკანოზ რევუცკის ესროლა, მასწავლებელს ტყვია მხარში მოხვდა.

კიევი. პოლიტექნიკუმის 7 პროფესორმა სამსახურიდან გასვლის თხოვნა შეიტანა.

ეკატერინბურგი. ნიჟნე-სალდის ქარხანაში 1500 მუშა გაიფიცა, მიზეზი ხელფასის დაკლება, სამუშაო დღის ორი საათით გადიდებას აძლევდნენ. ქარხანა ციმბირის გზის საჭირო საქმეს ასრულებდა.

სახაზინო პალატის სესია ნიკოლაევის სატუსაღოს რიგითა უმრავლესის საქმის გარჩევას შეუდგა. უმრავლესს ტუსაღთა ცემა ბრალდება. დაბარებულია 100 მოწმე. 60-ზე მეტი მისგან ნაცემია.

ნოვოჩერკასკი. სამხედრო-საოლქო სასამართლომ ალექსეევის მადაროების კასირზე თავ-დამსხმელთა გამოძიება დაასრულა. სამს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, ორს—უვადო კატორღა.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმის კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტები. ეს კანონ-პროექტები საიდუმლოდ იყო განხილული. პროექტის აზრით 1911 წ. იმპერიის დასაცველად ახალი თანხა უნდა იქმნეს გადადებული და ასეთივე თანხა საზღვაო მინისტრსაც უნდა მიეცეს, რათა შავი ზღვის ფლოტი გააძლიეროს.

პეტერბურგი. სათათბიროს ხარჯთაღრიცხვის კომისიამ განათლების მინისტრის ამხანაგმა სთქვა, საშუალო სასწავლებლების რეფორმების შესახებ კანონ-პროექტს სამინისტრო უკან წაიღებსო.

ხარკოვი. საუნივერსიტეტო ობსერვატორიამ აღნიშნა, რომ ამ 20 წლის განმავლობაში ასეთი ყინვები ჯერ არა ყოფილა. ყინვები ცელსიით 15 გრადუსამდისაა, საზოგადოთ კი +15° იყო ხოლმე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო არსენ და საველი თოდრიებს, რომლებმაც თავიანთ ნაცნობთა შორის შეაგროვეს დ. ქიათურაში გასულ წელს ციხის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის პირველმა 22 მანეთი და 30 კაპ., მეორემ —15 მანეთი და 75 კ.; აგრეთვე მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც თავიანთი წვლილი მიაწოდეს ზემოხსენებულ პირებს. შემომწირველთა სია:

ივლიან პანტურიშვილი, არსენ თოდრია, ვიაჩესლავ ჩხეიძე, მაკარი ტუპაბრია, ვლადიმერ ხარბანიდი, ვასო კილაძე, ალექსანდრე გრიგოლაშვილი, ანდრეი გაიდამაკინი, ადამ შიმონის—თითო მანეთი. ვარლამ მიხ. საყვარელიძე, იაკინთე კოვზირიძე, სერაპიონ ჩაჩიშვილი, პარმენ ცხოიძე, იტო კაპანაძე, აკაკი კოპალაძე, ზაქარია ოსოფაიშვილი, ხარიტონ ბერიძე, სერაპიონ ჩირაძე, მიხაკო შევარდნაძე, არქიპო მეტონიძე, მიხაკო რამიშვილი, ტარისი იოსელიანი, კოლია ლეკვეიშვილი, მიხაკო კვერნაძე, ვლადიმერ არსენაძე, კალენიკე ვაჩეიშვილი, ისიდორე შილაკაძე, მანსელიძე—ათ-ათი შაური, კოწია ლეკვეიშვილი, მელიტონ დოლიძე, მურმან ტყემალაძე, ალექსანდრე ხაბულიანი, ნოე ქედენტი—ექვს-ექვსი შაური; გიორგი დოლიძე, პარმენ უზნაძე, სარდიონ ქედენტი—ხუთ-ხუთი შაური; ლევან სიმონის ძე ჯაფარიძე—შვიდი შაური; ამბაკო მამაცაშვილი, აკაკი წივწივაძე, პარმენ კაპანაძე, ნიკოლოზ ტყოიძე, ნიკიფორე იობაშვილი, პორფილი ზაქარეიშვილი—თითო აბაზი; ლადიმე გლ. კალანდაძემ—2 მანეთი; ვანო დიდმამულოვმა—1 მანეთი; საველი თოდრია, იაკობ ტილაძე, კოწია სიხარულიძე, კოლია ჯიმშერეიშვილი, კოლია ტორონჯაძე, გიორგი კალანდაძე, რუბენ ჩხაიძე, გაბრიელ ჯიმშერეიშვილი, ბესარიონ გაფრინდაშვილი, დიანოზ კაპანაძე, ალექსანდრე გენძენაძე, ვასილ სხილაძე—ათ ათი შაური; ლადიმე ჯიბუტი, ხარიტონ აროშიძე, იოსებ კაკაბაძე, ერასტი ბერიძე, ბიქტორ კბილაძე, დომენტი გურიშიძე, ექვთიმე ვაჩეიშვილი, მიხაკო წეროძე, ამბაკო კირკიტაძე, ისმაილ ჯლამაძე, ლავრენტი გერმანიშვილი—ექვს-ექვსი შაური; კოტე ბერძენიძე, კირილე ნოდია, სარდიონ კაკაბაძე, ნიკოლაი ტურგილაძე, ვანო ღუღუნიშვილი, ერასტი მაჭაძე, სერგო გოცაძე, ზაქარია კაპანაძე, იოსებ წეროძე, დარისპან ჩუმაშვილი —თითო აბაზი, ნესტორ შოვნაძე, კოწია ჯიმშერეიშვილი—ორ-ორი აბაზი; მელიტონ გერმანიშვილი,—ბიქტორ მანდიამ—ხუთ-ხუთი შაური; ლასო ხარაიძემ —სამი შაური.

გამგე სამსონ კალანდაძე.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანცა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანცი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქობავა: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგან· და ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. გ. გევეხკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტაციურად
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანცი.

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

მუხრანის ხიდთან
სამკურნალო
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ხმელევსკი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
კ. ა. ფანიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალმიკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—42)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ფ)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (ფ)

„სორაპანის“ ამხანაგობის გამოცემა
ქართველი და უცხოელი მწერლები
წიგნი მეექვსე
მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.
დრამები და კომედიები
წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით
ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც ქართველ აგრეთვე უცხოელთა დრამატურგების ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია,—იქნება დასურათებული,—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში.
არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილი არის.
წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.
ხელის მოწერა დაიწყო 10 თებერვალს და გათავდება 1 აპრილს. დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნისს.
წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა
ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნიანად 1 მ. 50 კაპ.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ типографія „Сорапань“.
ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) „ნოვაია რეჩის“ მაღაზიაში. კიკნაძესთან, 3) „ალიონის“ მაღაზიაში, კიროჩნი ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში.—პროვინციაში ყველა აგენტებთან. (15—1100—4)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მ ა ღ ა ზ ი ა ს
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
მივიღეთ ახალი ნავაგა
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—121)
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

მადათოვის კუნძული სტამბა „სორაპანი“
რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.